სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №242

ქ. დმანისი 2019 წელი

ერთი მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ტატუაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი:ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა N41.
საიდენტიფიკაციო კოდი: №228928391
ტელეფონის ნომერი: 0 (360) 22 11 53
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა TRSGE22
ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, შპს "თამარი", წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ კუკულაძის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ქ.ბათუმი, მ.კომახიძის ქუჩა №108, ბინა №18.
საიდენტიფიკაციო კოდი: №445548140
ტელეფონის ნომერი: 558 54 11 91
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE55BG0000000131302027

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და "ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის N675 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. შესყიდვის ობიექტია დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ იაღუფლოს სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის და შესასვლელში შშმ პირებისთვის პანდუსის მოწყობის, სოფელ იფნარის სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის, სოფელ კამარლოში სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის, სოფელ მაშავერის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაციისა და სველი წერტილების შეტანა შენობაში სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა (ტექნიკური დავალებების და დანართი N2-ის შესაბამისად).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები; 71320000- საინჟინერო-საპროექტო მომსახურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 15 600 (თხუთმეტი ათას ექვსასი) ლარს (დღგ-ს გათვალისწინებით), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით დანართი N2-ის შესაბამისად.

2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) კალენდარულ დღეში.

2. განსახორციელებელი სამუშაოების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მუნიციპალიტეტისთვის წარდგენის ვადები განისაზღვრება არაუმეტეს 40 (ორმოცი) კალენდარული დღით (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე მიმწოდებლის მიერ ამ მიზნებისთვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის (ინსპექტირების ორგანო) მიერ გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით).

2.1 მე-2 პუნქტში გაწერილ ვადაში შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ტექნიკური დავალებ(ებ)ის შესაბამისად შედგენილი სრული პროექტ(ებ)ი.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების დაწყებიდან ჩართოს მიმწოდებლის მიერ ამ მიზნებისთვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირი (ინსპექტირების ორგანო). ინსპექტირების ორგანოსთან შეთანხმებით მიღებულ იქნეს ტექნიკური გადაწყვეტილებების მართლზომიერება და მისი შესრულების ხარისხი. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში სისტემატურად მიმდინარეობდეს შემსყიდველთან საპროექტო სამუშაოებზე და სხვა დეტალებზე შეთანხმება. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან რაიმე ცვლილების განხორციელება, მიმწოდებელი ვალდებულია მოამზადოს კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოქმნილი ხარვეზის/ნაკლოვანებების გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში, ანაზღაურების გარეშე.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირების შედეგად პროექტ(ებ)ი აღმოჩნდა სრულყოფილი და ინსპექტირების ორგანოს მიერ გაიცა დადებითი ინსპექტირების ანგარიშ(ებ)ი (დადებითი საექსპერტო დასკვნ(ებ)ი), შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტი (ინსპექტირების ხარჯებს დაფარავს მიმწოდებელი).

3. მომსახურების გაწევის ადგილია: დმანისის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები

1. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია 200000 (ორასი ათასი) ლარზე, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე ამ ხელშეკრულების დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 6. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯეროვნად, მსგავსი

მომსახურებისათვის უკვე დადგენილი სტანდარტების, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად.

2. ამ მუხლში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 7. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2. მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის შემსყიდველთან წარდგენის შემდეგ, რომლის საფუძველზეც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. ინსპექტირების ხარჯები ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ.

3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - ვიქტორ ქრისტესიაშვილი.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) მომსახურება გასწიოს ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უზრუნველყოს პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე ტექნიკური დავალებითა და პროექტირებას დაქვემდებარებული თითოეული ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი უზუსტობა ან/და შეუსაბამობება აცნობოს შემსყიდველს;

დ) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ წერილობითი მიმართვიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის მიწოდება;

ე) საკვლევაძიებო და საველე სამუშაოების განხორციელებამდე, მინიმუმ 1 (ერთი) დღით ადრე აცნობოს შემსყიდველს, ასევე მიმწოდებლის მიერ შერჩეულ აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს, რომლებიც დაესწრებიან აღნიშნულ პროცესებს;

ვ) მომსახურების გაწევის პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

ზ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

თ) გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე;

ი) გადასცეს შემსყიდველს ყველა უფლება, მათ შორის, საავტორო უფლება, მის მიერ შემუშავებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე;

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს გადასცეს ტექნიკური დავალება, რომელიც მოიცავს, პროექტირებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელებას, მის ადგილმდებარეობას, საპროექტო მომსახურების ძირითადი სახეობებს, პროექტით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალს და მათ საორიენტაციო ღირებულებას;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი გაწეული მომსახურება.

მუხლი 9. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველი და მიმწოდებლის მიერ შერჩეული სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ან/და შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირი (ორგანო).

2. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი და მიმწოდებლის მიერ შერჩეული სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ან/და შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირი (ორგანო) კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიიღოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა

1. მიმწოდებლის მიერ პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულები ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

3. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვალდებულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა) ან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, დაიწყო მიმწოდებლის ლიკვიდაციის პროცედურა;

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა მიმწოდებლის მიერ დაირღვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს;

ვ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ზ) შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურება სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული საფუძვლებით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 13. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 14. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი და მიმწოდებლის პერსონალი

1. დასაშვებია მიმწოდებელმა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურებების ნაწილი, შემსყიდველთან შეთანხმებით, შესასრულებლად გადაეცეს ქვეკონტრაქტორ(ებ)ს, რომლებიც (რომელიც) არ უნდა იყვნენ რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“;

2. ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურების ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით, მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და გაწეული მომსახურების შესრულებაზე შემყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიზნით, შემსყიდველს წარედგინება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება ღირებულების მითითებით და გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის ასლი. შემსყდველის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, არ დაუშვას ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურებების ნაწილის მითითებული ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ განხორციელება.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარუდგინოს შემსყიდველს, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 15. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - tenderidmanisi@gmail.com, მიმწოდებლის შემთხვევაში - ltdsaba2013@gmail.com) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 16. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

6. დანართი N2, ტექნიკური დავალება ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

dmanisi municipality

Digitally signed by dmanisi municipality
Date: 2019.09.30 12:07:02 +04'00'

მიმწოდებელი

Ramaz Kukuladze

Подписано цифровой подписью: Ramaz Kukuladze
Дата: 2019.10.01 10:59:50 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებ, რომ 2019 წლის №242 ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალიტეტის მერი _____ გიორგი ტატუაშვილი

მერიის სივრცითი მოწყობისა და
ინფრასტრუქტურის სამსახურის მესამე რანგის
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის _____ ვიქტორ ქრისტესიაშვილი

დანართი N2

N	სამუშაოების დასახელება	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	საპროექტო ღირებულება (ლარი) ექსპერტიზის ჩათვლით
1	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ იაღუფლოს სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობა და შესასვლელში შშმ პირებისთვის პანდუსის მოწყობა	78000	3210
2	დმანისის მუნიციპალიტეტის იფნარის სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობა	56 000	2310
3	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ კამარლოში სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობა	65 000	2675
4	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ: მაშავერის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია და სველი წერტილების შეტანა შენობაში.	180 000	7405
		379000	**15600**

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ იაღუფლოს სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობა და შესასვლელში შშმ პირებისთვის პანდუსის მოწყობა

ტექნიკური დავალება

ობიექტის მოკლე აღწერა და დავალების მიზანი:

საჭიროა მოეწყოს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. იაღუფლოში სკოლის შენობის მთლიან პერიმეტრზე უნდა მოეწყოს ცენტრალური გათბობის სისტემა, საქვაბე შენობის მშენებლობა და ქსელის მოწყობა. საპროექტო ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს გაზის მიყვანა მრიცხველიდან საქვაბე შენობამდე. საქვაბე შენობის ლოკაცია უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და სოფ: იაღუფლოს სკოლის დირექციასთან. ასევე საჭიროა სკოლაში ცენტრალური შესასვლელთან მოეწყოს პანდუსი.

(საპროექტო სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდზე ცალ-ცალკე ცალკე შენობის გათბობის და ცალკე პანდუსის)

(სავარაუდო ღირებულებაა 78000(სამოცდა თვრამეტი ათასი) ლარი)

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს
(მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს):

1. თავფურცელი – ობიექტის დასახელება და მისამართი;

2. პროექტის შემადგენლობა და ნახაზების უწყისი;

3. განმარტებითი ბარათი, ტექნიკური მაჩვენებლები;

4. შენობის აღწერა, არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, კონსტრუქციების დახასიათება/ შეფასებით.

6. წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, სკოლის აზომვითი ნახაზის ჩვენება; არსებული საინჟინრო ქსელების და კომუნიკაციების შესწავლა და დატანა გეგმაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7. **არქიტექტურული ნაწილი (სტადია პროექტი, სტადია მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, დეტალები);**

8.გათბობის სისტემის პროექტი.

9. თბოტექნიკური ანგარიშები, ცხრილები

10. დანადგარებისა და მასალების ცნობარი.

11. სამუშაოთა მოცულობებისა და მასალების კრეფსითი უწყისი.

12. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოს ჩატარების კალენდარული გეგმაგრაფიკით;

13. მოსაპირკეთებელი სამუშაოების უწყისები და სპეციფიკაციები;

14. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;

15. **სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად - რესურსული მეთოდით; მასალების სპეციპიკაციის მითითებით;**

16. პროექტის ავტორები ვალდებულნი არიან ადგილზე შეისწავლონ საპროექტო ობიექტი.

17. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით (4 ეგზ. A3 ფორმატი) და ელექტრონული ვერსიის სახით (პროექტი – „PDF", ხარჯთაღრიცხვა – „EXCEL" ფორმატში);

შენიშვნა: საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში სისტემატურად მიმდინარეობდეს შემსყიდველთან საპროექტო სამუშაოებზე და სხვა დეტალებზე შეთანხმება. ობიექტზე სამუშაოების შესრულების პროცესში გაუწიოს საავტორო ზედამხედველობა; იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან რაიმე ცვლილების განხორციელება, დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

დმანისის მუნიციპალიტეტის იფნარის სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობა

ტექნიკური დავალება

ობიექტის მოკლე აღწერა და დავალების მიზანი:

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. იფნარში სკოლის შენობის მთლიან პერიმეტრზე უნდა მოეწყოს ცენტრალური გათბობის სისტემა, შენობაში არსებობს გათბობის სისტემის ბატარიები მაგრამ ქსელი არის კედლებში ჩაყოლილი და არ ეტყობა სად ერთდება ან სად მიდის საჭიროა ჩატარდეს ანალიზი ქსელის მდგომარეობის. ქსელი თუ მუშაობს და შეიძლება დაერთება საქვაბეზე მოხდეს მხოლოდ საქვაბის მშენებლობა ხოლო თუ არ მუშაობს ქსელი მოეწყოს თავიდან. ასევე თბოტექნიკური ანგარიშით დადგინდეს არსებული ბატარიები საკმარისი არის თუ არა. საპროექტო ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს გაზის მიყვანა მრიცხველიდან საქვაბე შენობამდე. საქვაბე შენობის ლოკაცია უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და სოფ: იფნარის სკოლის დირექციასთან. ვინაიდან აღნიშნული სოფელში წყალი შეზღუდული რაოდენობით მიეწოდებათ გათბობის პროექტი უნდა იყოს გათბობის ბატარიებისთვის შესაბამისი ხსნარი (ანტიფრიზის) გათვალისწინებით. ან რეზერვუარით საიდანაც მოხდება წყლის მიწოდება.

(სავარაუდო ღირებულებაა 56 000 (ორმოცდა თექვსმეტი ათასი) ლარი)

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს
(მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს):

1. **თავფურცელი – ობიექტის დასახელება და მისამართი;**
2. **პროექტის შემადგენლობა და ნახაზების უწყისი;**
3. **განმარტებითი ბარათი, ტექნიკური მაჩვენებლები;**
4. შენობის აღწერა, არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, კონსტრუქციების დახასიათებით,
5. **არსებული მდგომარეობის დასკვნა (სკოლის გათბობის სისტემის მდგომარეობის შესწავლა, ასევე კონსტრუქციების შესწავლა-შეფასება);**
6. წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, აზომვითი ნახაზის ჩვენება; არსებული საინჟინრო ქსელების და კომუნიკაციების შესწავლა და დატანა გეგმაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. **არქიტექტურული ნაწილი (სტადია პროექტი, სტადია მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, დეტალები);**

8.გათბობის სისტემის პროექტი.

9. თბოტექნიკური ანგარიშები, ცხრილები

10. დანადგარებისა და მასალების ცნობარი.

11. სამუშაოთა მოცულობებისა და მასალების კრეფსითი უწყისი.

12. **სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოს ჩატარების კალენდარული გეგმაგრაფიკით;**

13. მოსაპირკეთებელი სამუშაოების უწყისები და სპეციფიკაციები;

14. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;

15. **სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი საქართველოში მოქმედი**

ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად - რესურსული მეთოდით; მასალების სპეციპიკაციის მითითებით;

16. პროექტის ავტორები ვალდებულნი არიან ადგილზე შეისწავლონ საპროექტო ობიექტი.

17. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით (4 ეგზ. A3 ფორმატი) და ელექტრონული ვერსიის სახით (პროექტი – „PDF", ხარჯთაღრიცხვა – „EXCEL" ფორმატში);

შენიშვნა: საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში სისტემატურად მიმდინარეობდეს შემსყიდველთან საპროექტო სამუშაოებზე და სხვა დეტალებზე შეთანხმება. ობიექტზე სამუშაოების შესრულების პროცესში გაუწიოს საავტორო ზედამხედველობა; იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან რაიმე ცვლილების განხორციელება, დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ კამარლოში სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობა

ტექნიკური დავალება

ობიექტის მოკლე აღწერა და დავალების მიზანი:

საჭიროა მოეწყოს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. კამარლოში სკოლის შენობის მთლიან პერიმეტრზე უნდა მოეწყოს ცენტრალური გათბობის სისტემა, საქვაბე შენობის მშენებლობა და ქსელის მოწყობა. საპროექტო ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს გაზის მიყვანა მრიცხველიდან საქვაბე შენობამდე. საქვაბე შენობის ლოკაცია უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და სოფ: იაღუფლოს სკოლის დირექციასთან. (საპროექტო სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდზე

(სავარაუდო ღირებულებაა 65 000 (სამოცდა ხუთი ათასი) ლარი)

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს
(მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს):

1. თავფურცელი – ობიექტის დასახელება და მისამართი;

2. პროექტის შემადგენლობა და ნახაზების უწყისი;

3. განმარტებითი ბარათი, ტექნიკური მაჩვენებლები;

4. შენობის აღწერა, არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, კონსტრუქციების დახასიათება/ შეფასებით.

6. წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, სკოლის აზომვითი ნახაზის ჩვენება; არსებული საინჟინრო ქსელების და კომუნიკაციების შესწავლა და დატანა გეგმაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7. **არქიტექტურული ნაწილი (სტადია პროექტი, სტადია მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, დეტალები);**

8.გათბობის სისტემის პროექტი.

9. თბოტექნიკური ანგარიშები, ცხრილები

10. დანადგარებისა და მასალების ცნობარი.

11. სამუშაოთა მოცულობებისა და მასალების კრეფსითი უწყისი.

12. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოს ჩატარების კალენდარული გეგმაგრაფიკით;

13. მოსაპირკეთებელი სამუშაოების უწყისები და სპეციფიკაციები;

14. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;

15. **სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად - რესურსული მეთოდით; მასალების სპეციპიკაციის მითითებით;**

16. პროექტის ავტორები ვალდებულნი არიან ადგილზე შეისწავლონ საპროექტო ობიექტი.

17. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით (4 ეგზ. A3 ფორმატი) და ელექტრონული ვერსიის სახით (პროექტი – „PDF", ხარჯთაღრიცხვა – „EXCEL" ფორმატში);

შენიშვნა: საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში სისტემატურად მიმდინარეობდეს შემსყიდველთან საპროექტო სამუშაოებზე და სხვა დეტალებზე შეთანხმება. ობიექტზე სამუშაოების შესრულების პროცესში გაუწიოს საავტორო ზედამხედველობა; იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან რაიმე ცვლილების განხორციელება, დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ: მაშავერის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია და სველი წერტილების შეტანა შენობაში.

ტექნიკური დავალება

ობიექტის მოკლე აღწერა და დავალების მიზანი:

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. მაშავერის სკოლის შენობა საჭიროებს შიდა კოსმეტიკური რემონტს შენობის პირველ ფლიგერში სადაც მიმდინარეობს სწავლება. სარეაბილიტაციოა კედლები, ჭერი. ადგილზე შესწავლისას დამატებით საკითხებზე მოხდეს შეთანხმება მერიის შესაბამის სამსახუთან. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გასახდელის კარებების შეცვლა. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას საპროექტო ორგანიზაციამ ადგილზე შეისწავლოს სკოლის შენობის ტერიტორია და შეირჩეს სველი წერტილების მოწყობისთვის ადგილი.

(სავარაუდო ღირებულებაა 180 000 (ას ოთხმოცი ათი ათასი) ლარი)

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს

(მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს):

1. თავფურცელი – ობიექტის დასახელება და მისამართი;
2. პროექტის შემადგენლობა და ნახაზების უწყისი;
3. განმარტებითი ბარათი, ტექნიკური მაჩვენებლები;
4. შენობის აღწერა, არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა.
5. წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, აზომვითი ნახაზის ჩვენება;
6. არქიტექტურული ნაწილი (სტადია პროექტი, სტადია მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, დეტალები);
7. წყალმომამარგების მოწყობის პროექტი სათანადო დეტალიზაციით(მუშა ნახაზი გეგმები ჭრილები ფასადებიდეტალები)
8. ელმომარაგება(სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები)
9. სამუშაოთა მოცულობებისა და მასალების კრეფსითი უწყისი.
10. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოს ჩატარების კალენდარული გეგმაგრაფიკით;
11. მოსაპირკეთებელი სამუშაოების უწყისები და სპეციფიკაციები;
12. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
13. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად - რესურსული მეთოდით; მასალების სპეციპიკაციის მითითებით;
14. პროექტის ავტორები ვალდებულნი არიან ადგილზე შეისწავლონ საპროექტო ობიექტი.

22. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით (4 ეგზ. A3 ფორმატი) და ელექტრონული ვერსიის სახით (პროექტი – „PDF”, ხარჯთაღრიცხვა – „EXCEL” ფორმატში);

შენიშვნა: საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს რომ განმარტებითი ბარათი უნდა იყოს ვრცელი და დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სამუშაოები რომელიც უნდა შესრულდეს. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში სისტემატურად მიმდინარეობდეს შემსყიდველთან საპროექტო სამუშაოებზე და სხვა დეტალებზე შეთანხმება. ობიექტზე სამუშაოების შესრულების პროცესში გაუწიოს საავტორო ზედამხედველობა; იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან რაიმე ცვლილების განხორციელება, დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.